



868/3-2/22 2 02022022

868/3-2/22
02-02-2022

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების
მარეგულირებელი ეროვნული კომისიის
თავმჯდომარეს ბატონ დავით ნარმანიას

ბატონო დავით,

გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ამავე მუხლით დადგენილ ვადაში, მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

რამ განაპირობა 2021 წლის 25 ნოემბერს, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის №44; N45; N46; N47, N48, N49 და N50-ე დადგენილებებით, „ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანა და 2022 წლის 1 იანვრიდან გაზის ტარიფების ზრდა.

ახორციელებს თუ არა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, ენერგეტიკული ბაზარის ზედამხედველობის ფარგლებში, კომისიის მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე, ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი კომპანიების მხრიდან, საბოლოო მომხმარებლის მიერ ბუნებრივი გაზის მოხმარების სწორად აღრიცხვის მონიტორინგს და რა რეაგირებას ახდენს მსგავსი დარღვევების აღმოჩენის შემთხვევებში.

გამოვლენილი იყო თუ არა 2021 წლის მანძილზე, სტანდარტებთან შეუსაბამო ბუნებრივი გაზის მიწოდების ფაქტები?

ასევე გთხოვთ გვიპასუხოთ, ბოლოს როდის ჩატარდა აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული მონიტორინგი?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
თეონა აქუბარდია



09/02/2022

N 1/09-1-1276

1276-1/09-1-2-202202090951



საქართველოს პარლამენტის წევრს,
ქალბატონ თეონა აქუბარდიას

ქალბატონო თეონა,

თქვენი 2022 წლის 2 თებერვლის №868/3-2/22 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომში - კომისია) 2014 წლის 25 დეკემბრის №33 დადგენილებით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიით“ (შემდგომში - სატარიფო მეთოდოლოგია) განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად, ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატებისა და მიმწოდებლებისთვის კომისიის მიერ დადგინდა შესაბამისი ტარიფები 2020-2022 სატარიფო რეგულირების პერიოდზე.

აღსანიშნავია, რომ სატარიფო მეთოდოლოგიის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით, ბუნებრივი გაზის განაწილების/გატარების ტარიფები ექვემდებარება კორექტირებას იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს წლიური ანგარიშის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ საანგარიშო წლის კორექტირების მოცულობა უდრის ან აღემატება შესაბამის წელს ბუნებრივი გაზის განაწილების/გატარების ტარიფით მისაღები შემოსავლის 10%-ს დადებითი ან უარყოფითი ნიშნით. აღნიშნულის ფარგლებში კომისიის აპარატმა განახორციელა განაწილების ლიცენზიატი საწარმოების მიერ კომისიაში წარმოდგენილი 2020 წლის აუდირებული ფინანსური ანგარიშგების შესწავლა და ანალიზი თითოეული მათგანისთვის სატარიფო გაანგარიშებაში ასახულ მაჩვენებლებთან დაკავშირებით და ამ კონტექსტში, პირველადი ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ კორექტირებას დაქვემდებარებული კომპონენტების დაგეგმილ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის სხვაობა აღემატებოდა 10%-ს შემდეგ ლიცენზიატი საწარმოებთან მიმართებაში: შპს „თელავგაზი“, შპს „გოგოჭური და კომპანია“, შპს „დი-ვი-ეს“, შპს „გამა“ და სს „საჩხერეგაზი“.

აღნიშნულის შესახებ შესაბამისი წერილებით ეცნობა ზემოთ ჩამოთვლილ საწარმოებს, რომლებმაც ბუნებრივი გაზის განაწილების ტარიფის კორექტირების მიზნით კომისიაში წარმოადგინეს შესაბამისი სატარიფო განაცხადები კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში.

ბუნებრივი გაზის განაწილების ტარიფის კორექტირების მიზნით კომისიაში შესაბამისი სატარიფო განაცხადების წარმოსადგენად ზემოთ ჩამოთვლილ საწარმოებს განესაზღვრათ ვადა არაუგვიანეს 2021 წლის 24 სექტემბრისა, რომლის ფარგლებშიც მათ უზრუნველყვეს კომისიის მიერ დადგენილი წესითა და ფორმით შესაბამისი სატარიფო განაცხადების კომისიაში წარმოდგენა.

ამასთან, ვინაიდან სატარიფო მეთოდოლოგიის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის გათვალისწინებით კომისია უფლებამოსილი იყო განეხორციელებინა სატარიფო რეგულირების პერიოდზე დადგენილი ბუნებრივი გაზის მიწოდების ტარიფის კორექტირება ბუნებრივი გაზის შესყიდვის ფასით ეროვნულ ვალუტაში სატარიფო წლის შიგნით საწარმოს მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე (რომელიც თავის მხრივ, უნდა ეფუძნებოდეს გარკვეულ ფაქტობრივ მონაცემებსა და გარემოებებს), შპს „თელავგაზმა“, შპს „დი-ვი-ეს“-მა და სს „საჩხერეგაზმა“ ბუნებრივი გაზის განაწილების ტარიფის კორექტირებასთან ერთად მოითხოვეს ბუნებრივი გაზის მიწოდების ტარიფის კორექტირება, ხოლო შპს „ყამარი მ“-მა და შპს „დიდი დილომა“ მოითხოვეს მხოლოდ მიწოდების ტარიფის კორექტირება, რაზეც, თავის მხრივ, წარმოადგინეს შესაბამისი დასაბუთება ფაქტობრივი მონაცემებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, განხორციელდა საწარმოების სატარიფო რეგულირება და კომისიის 2021 წლის 25 ნოემბრის №45 და №47 დადგენილებებით შპს „გოგოჭური და კომპანიას“ და შპს „გამას“ დაუდგინდათ ბუნებრივი გაზის განაწილების ტარიფები, №49 და №50 დადგენილებებით შპს „ყამარი მ“-ს და შპს „დიდი დილომა“ - ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების ტარიფები, ხოლო №44, №46, და №48 დადგენილებებით შპს „თელავგაზს“, შპს „დი-ვი-ეს“-ს და სს „საჩხერეგაზს“ - ბუნებრივი გაზის მიწოდების, განაწილების, გატარებისა და მოხმარების ტარიფები.

კომისია მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის პროცესში ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ამოწმებს კომპანიების მიერ განხორციელებული დარიცხვის კანონიერებას და შესაბამისი საფუძვლის არსებობისას ახდენს დარიცხვის გაუქმებას ან კორექტირებას. 2017 წლიდან 2021 წლის ჩათვლით ბუნებრივ გაზზე დარიცხვების თაობაზე შემოსულია სულ 1986 განცხადება/საჩივარი, მათ შორის დაკმაყოფილდა 919 განცხადება/საჩივარი, ხოლო მომხმარებელთა სასარგებლოდ ჩამოწერილმა თანხამ შეადგინა 1 185 957.16 ლარი.

რაც შეეხება 2021 წლის მანძილზე სტანდარტებთან შეუსაბამო ბუნებრივი გაზის მიწოდების ფაქტებს, გაცნობებთ შემდეგს:

მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის თბოუნარიანობისა და წნევის მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს ბუნებრივი გაზის სექტორში მოქმედ წესებსა და კანონმდებლობით დადგენილ ნორმებსა და სტანდარტებს.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 იანვრის №101 დადგენილებით დამტკიცებული „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის (შემდგომში - ტექნიკური რეგლამენტი) მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, ბუნებრივი გაზის თბური შემცველობა უნდა იყოს არანაკლებ 31.8

მგჯ/მ³ (7600 კკალ/მ³). ამავე ტექნიკური რეგლამენტის თანახმად, გაზომმარაგების სისტემებში გაზის წნევის სიდიდე უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამისი სტანდარტების მოთხოვნებს.

ბუნებრივი გაზის თბოუნარიანობისა და შემადგენლობის შემოწმებას ყოველდღიურად ახორციელებს ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიატი, შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“, და აღნიშნულ მონაცემებს აქვეყნებს საკუთარ ვებგვერდზე (<http://ggtc.ge>). ვებგვერდზე გამოქვეყნებულია ბუნებრივი გაზის თბოუნარიანობისა და შემადგენლობის შესახებ ინფორმაცია როგორც მიღების პუნქტების (აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან და რუსეთის ფედერაციიდან), ასევე ცალკეული მსხვილი გაცემის პუნქტების მიხედვით (ძირითადი გაზგამანაწილებელი სადგურები, საიდანაც ხორციელდება საქართველოს რეგიონებისა და ქ. თბილისის გაზომმარაგება).

გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოში მიღებული და ტრანსპორტირების სისტემიდან გაცემული ბუნებრივი გაზის თბოუნარიანობის მნიშვნელობები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ, 2018 წელს საქართველოში მიღებული ბუნებრივი გაზის თბოუნარიანობის საშუალო მაჩვენებელი შეადგინა 8 508 კკალ/მ³, 2019 წელს - 8 465 კკალ/მ³, 2020 წელს - 8 483 კკალ/მ³, 2021 წელს - 8 480 კკალ/მ³.

ამავდროულად გაცნობებთ, რომ კომისიის მხრიდან ხორციელდება მუდმივი მონიტორინგი ბუნებრივი გაზის წნევის დასაშვები ნორმებიდან გადახრის (რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის ავარიული შემთხვევებით, ასევე გამანაწილებელი ქსელის გაუმართაობით) თაობაზე კომისიაში შემოსულ ინფორმაციებთან დაკავშირებით.

გაზის წნევის ნორმიდან გადახრის ყოველ კონკრეტულ ფაქტზე მონიტორინგის განხორციელებისას კომისია მარეგულირებელი უფლებამოსილების ფარგლებში ახდენს სათანადო რეაგირებას, რათა განაწილების ლიცენზიატების მხრიდან შესრულდეს მომხმარებელთა უსაფრთხო, უწყვეტი და საიმედო მომარაგების უზრუნველყოფის მიზნით კანონმდებლობით და სალიცენზიო პირობებით ნაკისრი ვალდებულებები.

კომისიის 2009 წლის 9 ივლისის №12 დადგენილებით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ მე-6 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია, უზრუნველყოს მომარაგების ტექნიკური ხარისხის ადგილზე შემოწმება მომხმარებლის მიმართვიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა. 2021 წლის მონაცემების თანახმად, მომხმარებელთა მიმართვის საფუძველზე მომარაგების ტექნიკური ხარისხის ადგილზე შემოწმება განხორციელდა 37 მომხმარებელთან, საიდანაც 35 შემთხვევაში მოთხოვნაზე რეაგირება იყო დროული (შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი შემოწმების ვადების შესრულების მაჩვენებელი შეადგინა - 94.6%), ხოლო შესრულებული სამუშაოს საშუალო ხანგრძლივობა შეადგენდა 3 დღეს.

როგორც აღნიშნეთ, ბუნებრივი გაზის წნევის დასაშვები ნორმებიდან გადახრა შესაძლოა გამოწვეული იყოს გამანაწილებელი ქსელის გაუმართაობით, რასთან დაკავშირებითაც, კომისიის მიერ წარმოებული მარეგულირებელი მონიტორინგისა და

ზედამხედველობის ფარგლებში, განაწილების ლიცენზიატებს ევალებათ კომისიაში შესათანხმებლად წარმოადგინონ გამანაწილებელი ქსელის გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული საინვესტიციო გეგმები და პროექტები, რომელთა შესრულებაზეც მონიტორინგს ახორციელებს ასევე კომისია.

ლიცენზიატების მიერ წარმოდგენილი საინვესტიციო გეგმებისა და პროექტების შეთანხმების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საინვესტიციო პროექტების ტექნიკური მიზანშეწონილობის კრიტერიუმების შეფასებას. საინვესტიციო პროექტების მიზანშეწონილობის დადგენის ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს ბუნებრივი გაზის ხარისხის (წნევის) მაჩვენებლების გაუმჯობესება. კომისიის მხრიდან მითითებულ საკითხზე მონიტორინგი ხელს უწყობს ქსელის საიმედოობას/მდგრადობასა და ეფექტიან ოპერირებასთან დაკავშირებული პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მომხმარებელთა უსაფრთხო, უწყვეტ და საიმედო გაზმომარაგებას.

პატივისცემით,

დავით ნარმანია

კომისიის თავმჯდომარე

